KA030171474481719

№ 01-2929 **25 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის 2013 წელს ხელი მოეწერა კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო ფრანგული მხარის მიერ მისი რატიფიცირება მოხდა 2018 წლის დეკემბერში (ძალაში შევიდა 2019 წლის 1 თებერვალს). აღნიშნული ხელშეკრულება გახდება საქართველოსა და საფრანგეთს შორის საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული მიგრაციის) სფეროში წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩართულობით, მიმდინარე წლის 1-3 აპრილს დაიგეგმა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი პარიზში (სამუშაო დონეზე). ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ყველა ტექნიკური დეტალის განხილვა, რათა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ამოქმედდეს საქართველოსა და საფრანგეთს შორის საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების სქემები.

შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - გიორგი ბუნტური.

აქვე გაცნობებთ, რომ მიმწვევი მხარე მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს არ ანაზღაურებს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 3 აპრილის ჩათვლით ბატონი გიორგი ბუნტურისათვის და ასევე, მგზავრობის, განთავსებისა და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია